დ ა ნ ა რ თ ი

საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების დანართი

1. მარშრუტები, რომელზედაც საქართველოს მიერ დანიშნული ავიასაწარმო განახორციელებს საჰაერო მიმოსვლას:

| საწყისი პუნქტი | შუალედური პუნქტი | დანიშნულების პუნქტი | პუნქტები საზღვრებს გარეთ |
|---|---|---|---|
| ნებისმიერი პუნქტი საქართველოში | უნდა განისაზღვროს | ნებისმიერი პუნქტი ლატვიის რესპუბლიკაში | უნდა განისაზღვროს |

2. მარშრუტები, რომელზედაც ლატვიის რესპუბლიკის მიერ დანიშნული ავიასაწარმო განახორციელებს საჰაერო მიმოსვლას:

| საწყისი პუნქტი | შუალედური პუნქტი | დანიშნულების პუნქტი | პუნქტები საზღვრებს გარეთ |
|---|---|---|---|
| ნებისმიერი პუნქტი ლატვიის რესპუბლიკაში | უნდა განისაზღვროს | ნებისმიერი პუნქტი საქართველოში | უნდა განისაზღვროს |

3. ყოველი შუალედური პუნქტი და ტერიტორიის გარეთ მდებარე პუნქტი შეიძლება გამოიყენოს ხელშემკვრელი მხარის მიერ დანიშნულმა ავიასაწარმომ მე-5 თავისუფლების გამოყენების გარეშე. საჰაერო მიმოსვლის მე-5 თავისუფლების შესაძლო გამოყენების უფლება შეთანხმებულ უნდა იქნეს ორივე ხელშემკვრელი მხარის საავიაციო ხელისუფლების მიერ.

შეთანხმების ფურცელი
შეთანხმების პროექტზე
„საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შესახებ"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | შეთანხმების პროექტზე შენიშვნები არ გააჩნია. | |
| 2 | ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | შეთანხმების პროექტზე შენიშვნები არ გააჩნია. | |
| 3 | იუსტიციის სამინისტრო | შეთანხმების მე-6 მუხლი ადგენს რიგ საბაჟო შეღავათებს. აღნიშნული შეღავათები გათვალისწინებულია როგორც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით, ასევე "საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ" 1944 წლის კონვენციით. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეღავათებს მე-6 მუხლის მე-2 (ა) პუნქტში მოცემული საქონლისთვის და შესაბამისად, მათი გადასახადისგან გათავისუფლება უნდა მოხდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. | საქართველოს მთავრობის მიერ საჰაერო მიმოსვლის სფეროში აღებული ლიბერალიზაციის კურსის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საბაჟო შეღავათების გამოყენება. |
| | | ამავე მუხლის მე-2 (გ) პუნქტში ჩამოთვლილი საქონელი "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის "პ" პუნქტის თანახმად გათავისუფლებული არიან საბაჟო გადასახადისგან. საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქონლის შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ საბანკო გარანტიას, ხოლო საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საქონლის იმპორტი უნდა განხორციელდეს მოცემული წესების დაცვით. | საქართველოს მთავრობის მიერ საჰაერო მიმოსვლის სფეროში აღებული ლიბერალიზაციის კურსის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საბაჟო შეღავათების გამოყენება. |
| 4 | ფინანსთა სამინისტრო | შეთანხმების მე-6 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები "შემოწმებისთვის დაწესებული გადასახადებისა და სხვა გადასახადებისა და ბეგარისაგან" ნაცვლად შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: "შემოწმებისათვის დაწესებული მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან" | გათვალისწინებულია. |
| | | მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება შესწორდეს შემდეგი სახით: "ასევე თავისუფლდება ამ მუხლის პირველ პუნქტში ხსენებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, გარდა მომსახურებაზე გადასახდელი საფასურის გამოკლებით" შემდეგ როგორც ტექსტშია. | გათვალისწინებულია. |

| | |
|---|---|
| მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვების "საბაჟო ხელისუფლების" ნაცვლად უნდა ჩაიწეროს "საბაჟო ორგანოს". | გათვალისწინებულია. |
| მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო ნაწილი უნდა შესწორდეს შემდეგი სახით: ". . . განთავისუფლებული იქნება საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე". | გათვალისწინებულია. |
| მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო ნაწილი შესწორდეს შემდეგი სახით: ". . . ამ ქვეყნის ტერიტორიაზემიღებულ შემოსავალს ან მოგებას გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან". | გათვალისწინებულია. |